სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/124

ქ. თბილისი 28 მაისი 2019

დოქტორანტის კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტს, რომელმაც 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გაიარა დისერტაციის წინასწარი დაცვა და გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, წარმოდგენილი აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (თბილისი, სტუ, 2019 წლის 3-22 ივნისი) საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა კონფერენციის მონაწილედ რეგისტრაციის შესახებ (მითითებული უნდა იყოს, რომ წარდგენილი აქვთ შესაბამისი მოხსენების თეზისი და ნაშრომი), როგორც გამონაკლისი, მიეცეს დისერტაციის, ავტორეფერატისა და სხვა დოკუმენტების სადისერტაციო საბჭოში წარდგენის უფლება;
2. დოქტორანტმა 2019 წლის 24 ივნისის ჩათვლით წარადგინოს სადისერტაციო საბჭოში ცნობა კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლის ფაქტის მითითებით, აგრეთვე დისერტაციისა და ავტორეფერატის შესაბამისად კორექტირებული ეგზემპლარები;

3. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს ჩასწორებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარების გადაცემა რეცენზენტებისა და სადისერტაციო კოლეგიის დანარჩენი წევრებისათვის;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**